საქართველო

35261-01-2-201909121826

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/35261
12/09/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თეა ახვლედიანს

ქალბატონო თეა,

ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ინფორმაციით, 2019 წლის 26 აგვისტოს ჩეხეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანებულება ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოელთა ცხოვრების კანონის იმპლემენტაციის შესახებ, რომელშიც შეიტანა ცვლილებები ჩეხეთის სამუშაო (გრძელვადიანი) ვიზების გაცემის პროცედურაზე, კერძოდ დაწესდა წლიური კვოტა, სამუშაო ვიზებზე განცხადებათა მიღების მაქსიმალურ რაოდენობაზე.

ახალი რეგულაცია შეეხო 38 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს. საქართველოს მოქალაქეებისთვის 90 დღეზე მეტი ვადით, ბიზნეს ვიზის მისაღებად წლიური მაქსიმალური განცხადებათა რაოდენობა შეადგენს - 12 ადგილს, ძირითადი პროგრამები და სამეცნიერო პერსონალი - 4 ადგილი. სამუშაო ნებართვაზე განცხადებათა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს - 300 ადგილს, ხოლო მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელთა და სამეცნიერო პერსონალის პროგრამა - 30 ადგილს.

აღნიშნული საკითხის დეტალურად გარკვევის მიზნით, ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო უახლოეს მომავალში გამართავს შეხვედრებს შესაბამის უწყებებთან, რის თაობაზეც დამატებით გეცნობებათ.

წერილს თან ერთვის ჩეხეთის მთავრობის მიერ მიღებული ბრძანებულება არაოფიციალური თარგმანით. აქვე გაცნობებთ, რომ ზემოხსენებული ბრძანებულება ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 1 სექტემბერს.

დანართი: 11 (თერთმეტი) გვერდი.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

მინისტრის მოადგილე